სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად **რექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N256/01-01-ის** საფუძველზე- **გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის** ასოცირებულ პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2025 წლის 10 ნოემბრის N: 73/2025 დადგენილების** პუნქტი 1-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი N8

ქ. თბილისი 24 ივლისი, 2026 წ.

თსუ II კორპ. ოთახი #349 15.00 საათი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N256/01-01-ის საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის **დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის** ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა ორი განაცხადი (1 საშტატო ერთეული - ა კატეგორია), თსუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 ნოემბრის N: 73/2025 დადგენილების პუნქტი 1-ის საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

საკონკურსო კომისიის შემაჯამებელ სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4:

1. ნოდარ ელიზბარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ დოლბაია - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. გიორგი მელაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. თენგიზ გორდეზიანი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

საკითხი 1.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის , ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად დამოცხადებული კონკურსის ვაკანტურ თანამდებობაზე (1 საშტატო ერთეული - ა კატეგორია) შემოსული 2 განაცხადის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ხელახალი განხილვა. ურთიერთშეჯერება და შეჯამება, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საკითხი 2.

კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკითხი 1. კომისიის თავმჯდომარის პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე, რომელსაც კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი, ხელახლა შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი ორმა კანდიდატმა შემოიტანა:

ა) დავით სვანაძე;

ბ) მარიამ ელიზბარაშვილი;

ა) საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის კონკურსანტის დავით სვანაძის შეფასება.

I ეტაპის შედეგების შეჯამება

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს N118/2014 დადგენილების დანართი N4.

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური

სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით ,,კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასება II კატეგორიაში ,,პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან". მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.), საკონკურსო კომისიის ყველა წევრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით ..მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში ,,სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ), საკონკურსო კომისიის ყველა წევრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით ,,მაღალი".
კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, კომისიის მიერ შეფასდა როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი.
კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ჩამოყალიბებულია კათედრის პროფილის მიხედვით. ინტეგრაციული გეოგრაფიის და სივრცითი დაგეგმარების განვითარების პერსპექტივები განხილულია კომპლექსურად. ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. სადაც გამოკვეთილია კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში.

შეფასების IV კატეგორიაში ,,კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და ,,დამატებით ინფორმაცია" წარმოდგენილია აქტივობების ჩამონათვალი: 2020 წლიდან მონაწილეობს, როგორც ხელმძღვანელი, საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში; მოეწყო ხანგრძლივ ვადიანი საზაფხულო სკოლები გერმანიაში ქ. კარლსრუეში და ენგურის კაშხალზე; მონაწილეობა აქვს მიღებული, როგორც გეოგრაფს, კარტოგრაფსა და GIS სისტემების სპეციალისტს და სივრცითი მონაცემების დამუშავების ექსპერტს 15-ზე მეტ ურბანული/ქალაქმშენებლობით სივრცითი დოკუმენტაციის დამუშავების პროექტში; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის ფარგლებში ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა რამდენიმე სტუდენტურ პროექტში.

კომპიუტერული უნარ-ჩვევები: უმაღლეს დონეზე და სრულყოფილად ფლობს გეოსაინფორმაციო GIS – Geographical Information Systems; დისტანციური ზონდირების Remote Sensing, ფოტოგრამმეტრიულ Photogrammetric; მონაცემთა ანალიზის Data Analysis, რელიეფის მორფომეტრული, ჰიდროლოგიური თემატიკის მონაცემების დამუშავების, სივრცით მონაცემთა შეგროვება, შენახვის, დამუშავების და ვიზუალიზაციის (მათ შორის კარტოგრაფიულ) და სხვა პროგრამულ უზრუნველყოფებს:

- გეოინფორმაციული, დისტანციური ზონდირების და მონაცემთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფები: ArcGIS; ArcGIS PRO; QGIS; Global Mapper; Google Earth pro; SNAP; ERDAS Imagine; Panoply; Envi ENVI (Environment for Visualizing Images); SAGA GIS; GRASS GIS; ILWIS; Golden Software – Surface, Map Viewer, Grapher, Snap;
- ფოტოგრამმეტრიული პროფილის პროგრამული უზრუნველყოფები: Pix4D; Agisoft Metashape; Leica Infinity
- CAD მხაზველობითი პროგრამულ უზრუნველყოფები: AutoCAD; AutoCAD Civil3D
- მონაცემთა ვიზუალიზაციის გრაფიკული პროგრამული უზრუნველყოფები; მათ შორის კარტოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებების ბიბლიოთეკებით და ხელსაწყოებით აღჭურვილი - ვექტორული, გრაფიკული ფორმატის ფაილების ვიზუალიზაციის Adobe Illustrator; Adobe Photoshop; CorelDraw.

ფლობს გეოდეზიურ აპარატურას, მისი საველე კვლევებში გამოყენების და მონაცემთა დამუშავების პროგრამულ უზრუნველყოფას; GNSS (გლობალური პოზიციონირების სატელიტური სისტემა - GPS); Total Station (ტაქიომეტრი); Digital Level (ნიველირი); RtkLIB - GPS (Rinex) კოორდინატებს მონაცემების რეალურ დროსა და ე.წ. „პოსტ პროცესინგი"- post processing" დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა.

- საოფისე პროგრამული უზრუნველყოფები: Microsoft Word, Excel, PowerPoint;
- პროგრამირების ენა - python (საშუალოდ)

ფლობს უპილოტო საფრენი აპარატების (დრონი-UAV unmanned aerial vehicle) ტოპოგრაფიული და გარემოს მონიტორინგის კუთხით, მათ შორის მულტი სპექტრულ და LIDAR ფორმატის რეჟიმში, გარემოს კომპონენტების ციფრული გამოსახულების და „წერტილოვანი ღრუბლის" - Point Cloud გენერირების, დამუშავების და მონაცემთა გეოინფორმაციული წარმოდგენის პროგრამულ უზრუნველყოფებს - ტერიტორიის აეროფოტოების გადაღებიდან, ორთოფოტოს შექმნამდე, მონაცემთა ციფრული კარტოგრაფირების ჩათვლით.

ფლობს ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებს.

შეფასების IV კატეგორიაში საკონკურსო კომისიის ყველა წევრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

გადაწყვეტილება: კონკურსანტ დავით სვანაძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მე-2 ეტაპზე, გასაუბრების აუდიოჩანაწერის და შესაბამისი დოკუმენტაციის ხელახალი განხილვა დაინიშნა 2026 წლის 23 ივლისს 12 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდგომ, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრების შედეგების ხელახალი განხილვა.

II ეტაპის შედეგების შეფასება

2025 წლის 19 დეკემბერს (13 სთ. 45 წთ.), გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა კონკურსანტის როგორც სასწავლო საქმიანობას, ასევე სამეცნიერო თემატიკას, სამომავლო გეგმებს, სამეცნიერო კონცეფციას, სალექციო კურსებს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულების სტუდენტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) - და დისტანციური ზონდირების (RS) საფუძვლიანი ცოდნა, განსაკუთრებით მათი ინტეგრირებული გამოყენების კონტექსტში, სივრცითი მონაცემების შეგროვება, შენახვა, გეოსტატისტიკური ანალიზი, ვიზუალიზაცია და მათი წარმოდგენა 3D, 4D და 5D განზომილებებში.

GIS და დისტანციური ზონდირების RS ინტეგრირებულ სპეციალისტებზე უდიდესი მოთხოვნაა შრომის ბაზარზე, არაერთი სექტორული (მიწათსარგებლობის, ურბანული, რეგიონული, რეკრეაციული და სხვ.) დაგეგმარების სფეროში. იგი მნიშვნელოვნად გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს როგორც საჯარო, ისე კერძო და სამეცნიერო სექტორში. აღნიშნული უნარები ასევე მნიშვნელოვანია სივრცითი დაგეგმარებისა და ტერიტორიული განვითარების საკითხების სიღრმისეული ანალიზისა და სინთეზისთვის. GIS-ისა და დისტანციური ზონდირების ერთიანი, ინტეგრირებული სწავლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტების თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ინტეგრაციული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების განვითარების საქმეში.

კათედრის სასწავლო და სამეცნიერო პროცესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სივრცითი დაგეგმარების მეთოდოლოგიის და გამოცდილების სწავლება. ამ საგანს გადამწყვეტი როლი ენიჭება სტუდენტთა კვალიფიკაციის, მათი დასაქმების, ინტეგრაციული გეოგრაფიის განვითარების და ზოგადად, ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით.

საქართველოს სივრცითი დაგეგმარების და განვითარების პროცესი უკავშირდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემებს, ეკონომიკის ზრდის ტენდენციებს, მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სხვ. როგორც ცნობილია, სივრცითმა დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეგიონების თანაბარი განვითარება,

დეცენტრალიზაცია და ინტეგრაცია, დემოგრაფიული კრიზისის პრევენცია, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, გარემოსდაცვითი რისკების შემცირება და ჰარმონიული რეგიონული განვითარება. ამგვარი პრობლემების ანალიზი და რეგიონული სინთეზი მოითხოვს ინტეგრაციული გეოგრაფიის მეთოდოლოგიის გამოყენებას. გეოინფორმაციული და დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიების სწავლებას.

სივრცითი დაგეგმარება ხორციელდება მრავალმხრივი და მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, რაც ინტეგრაციული გეოგრაფიის ძირითადი ამოცანაა იგი ეხმარება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებასა და კოორდინაციაში, ადგილობრივ მოსახლეობას - ცნობიერების ამაღლებაში, სახელმწიფო, აკადემიურ და კერძო უწყებებს - თანამშრომლობის გაძლიერებაში. მან უნდა უზრუნველყოს არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენება, სექტორული (დარგობრივი) პოლიტიკის წარმატებული ინტეგრაცია, ეროვნული სტრატეგიული მიზნების ჰარმონიზაცია ადგილობრივ განვითარების მიზნებთან, სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპული და საერთაშორისო განვითარების ძირითად მოთხოვნებთან.

საქართველოს სივრცითმა დაგეგმარებამ, ეროვნული გეგმის მიხედვით, უნდა უზრუნველყოს: სექტორული (ეკონომიკის დარგების, სოციალური სფეროს, ეკოლოგიური ვითარების) სტრატეგიების ინტეგრირება, ეროვნული და ტრანსნაციონალური ინტეგრაცია, ქვეყნის მდგრადი განვითარება, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების პრევენცია, დასახლების სისტემის და ურბანიზაციის ოპტიმიზაცია, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის საიმედოობა.

ამჟამად საქართველოს მუნიციპალიტეტების 15%-ზე ნაკლებს აქვს სივრცითი განვითარების გეგმები. ქვეყნის სივრცითი დაგეგმარება ხორციელდება ფრაგმენტულად, საქართველოს რეგიონების, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების უდიდესი ნაწილი სივრცითი დაგეგმარების გარეშეა დარჩენილი. დარგობრივი სამინისტროები ახორციელებენ საკუთარ პროგრამებს და ისინი არსებითად მოკლებულია ინტეგრირებას. დღის წესრიგში დგას საქართველოს გადასვლა დარგობრივი დაგეგმარებიდან ურბანული, რეგიონული, რეკრეაციული, ლანდშაფტური და მიწათსარგებლობის დაგეგმარების ინტეგრირებულ მიდგომაზე, რაც მოითხოვს ეროვნული და რეგიონული სივრცითი პოლიტიკის კოორდინაციას. ამგვარმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მდგრადი განვითარება ოთხი ძირითადი საყრდენის მიხედვით: ეკონომიკური ზრდა, სოციალური სტაბილურობა, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, კულტურული ფასეულობების შენარჩუნება. ამრიგად, საქართველოს სივრცითი დაგეგმარება მთლიანად უკავშირდება მდგრადი განვითრების სამივე - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემატიკას.

გეოგრაფიული ანალიზი და სინთეზი სივრცითი დაგეგმარების საკვანძო საფეხურია. სწორედ ინტეგრაციული გეოგრაფიის მეშვეობითაა შესაძლებელი მულტიდისციპლინური ინფორმაციის სინთეზი და სივრცითი დაგეგმარების ნებისმიერი ფორმის წარმატებით რეალიზაცია. სივრცით დაგეგმარებაში გეოგრაფიული ანალიზის მეშვეობით ხორციელდება ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეფასება. მასში გადამწყვეტი როლი შეუძლია ითამაშოს ინტეგრაციულმა გეოგრაფიამ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფიის ურთიერთკავშირმა, გეგმარებითი ტერიტორიის გეოგრაფიულმა შეფასებამ და კვლევისთვის საბაზისო გეოგრაფიულ ერთეულებად (ადმინისტრაციული ერთეულები, მდინარეთა აუზები, ლანდშაფტები) გამოყენებამ.

სივრცითი დაგეგმარება პირდაპირ კავშირშია სივრცით (ტერიტორიულ) ანალიზთან, გეოგრაფიული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების სივრცე-დროითი თავისებურებების შეფასებასთან. ამგვარი შეფასება წარმოუდგენელია შესაბამისი ტექნოლოგიების და კვალიფიციური კადრების გარეშე. ამგვარი კადრების მომზადება საუნივერსიტეტო განათლების, საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის არსებითი გამოწვევა და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და გამოყენებითი პროფილის ამოცანაა.

დავით სვანაძე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია. საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა კონკურსანტის აკადემიური და სამეცნიერო მოღვაწეობა, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების მნიშვნელობა დარგის განვითარებისთვის, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და განხორციელებულ პროექტები, საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება და პროფესიულ უნარები. საკონკურსო კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაადასტურა, რომ დავით სვანაძე სრულად აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს და ასევე სრულად შეესაბამება საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის (ვაკანსიის) პროფილს.

ბ) საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის კონკურსანტის მარიამ ელიზბარაშვილის შეფასება.

I ეტაპის შედეგების შეჯამება

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს N118/2014 დადგენილების დანართი N4.

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით ,,კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასება II კატეგორიაში „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“. მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.), საკონკურსო კომისიის ყველა წევრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით ..მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ), საკონკურსო კომისიის ყველა წევრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით ,,მაღალი“.

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული, თუმცა დარგთან (ინტეგრაციულ გეოგრაფიასთან და ლანდშაფტურ დაგეგმარებასთან) არსებითად შეუსაბამო სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ჩამოყალიბებულია კლიმატოლოგიის და არა კათედრის პროფილის მიხედვით. დარგის განვითარების პერსპექტივები განხილულია კლიმატოლოგიის ჭრილში. იგი ნათლად ასახავს კონკურსანტის კვალიფიკაციას, რაც ვერ შეიტანს ჯეროვან წვლილს კათედრის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის განვითარების ხელშეწყობაში.

მე-3 კატეგორიის საერთო შეფასების მიხედვით - ,,ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას“, კონკურსანტმა, საკონკურსო კომისიის ყველა წევრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, მიიღო შეფასება „საშუალო“. კონკურსანტი ნამდვილად შეიტანს წვლილს კლიმატოლოგიის განვითარებაში, თუმცა გეოგრაფიის ეს მიმართულება არ ითვლება საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების პროფილად.

შეფასების IV კატეგორიაში ,,კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და ,,დამატებით ინფორმაცია" წარმოდგენილია აქტივობების ჩამონათვალი: 2015 წლიდან არის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის „AIR AND WATER COMPONENTS OF THE ENVIRONMENT, INTERNATIONAL CONFERENCE" სამეცნიერო კომიტეტის წევრი, რომელიც იმართება 2009 წლიდან მოყოლებული (მორიგი გაიმართება 2026 წელს 20-22 მარტს) კლუჟ-ნაპოკა-ში, რუმინეთში, BABES-BOLYAI UNIVERSITY, FACULTY OF GEOGRAPHY. როგორც სამეცნიერო კომიტეტის წევრს, ყოველწლიურად უწევს კონფერენციაზე წარმოდგენილი სტატიების რეცენზირება.

თანამშრომლობს Web of Science - ის ჟურნალებთან რეცენზენტის რანგში, კერძოდ 2025 წელს რეცენზირება გააკეთა 3 სტატიაზე Web of Science-ის მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე სამი სხვადასხვა ჟურნალისათვის. ასევე თანამშრომლობს სამეცნიერო ჟურნალთან: Georgian Geographical Journal. არის ჟურნალ Earth Science-ის სპეციალური გამოშვების სარედაქციო საბჭოს წევრი. არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ეკოლოგიურ პრობლემათა კომისიის წევრი. თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებების, გეოგრაფიისა (ფიზიკური) და გეოფიზიკის მიმართულებით.

არის თსუ-ს ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა შესარჩევი კომისიების წევრი და თსუ-ს მიერ დაფინანსებული სამი სტუდენტური პროექტის რეკომენდატორი. თსუ-ის ზსმ ფაკულტეტზე არსებულ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში მიწვეული მასწავლებლი. თანამშრომლობს (კითხულობს ლექციებს) თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტთან. არის ზსმ ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამეტის: 1) სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; 2) დოქტორანტურაში მისაღები კომისიის წევრი; 3) დოქტორანტების სემინარებისა და კვლევითი პროექტების, ასევე 4) სტუდენტთა მოხსენებების შეფასების კომისიის წევრი. 2021 წელს იყო სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით" დაცვის კომისიის წევრი. დოქტორანტ თამარ ხუნწელიას ხელმძღვანელი და დოქტორანტ ნინო ჩიხრაძის რეკომენდატორი დოქტორანტურაში ჩაბარებისას 2025 წ. აღნიშნული წლის ოქტომბერში წარადგინეს სადისერტაციო ნაშრომის "კლიმატის ცვლილების გავლენა სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტებზე" შემფასებლად (რეცენზენტად). ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციაზე სტუდენტთა ნაშრომების ხელმძღვანელი. მათ შორის: მეცამეტე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენციაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ENS-2025, ორი სტუდენტური მოხსენების ხელმძღვანელი და ერთი სტუდენტური მოხსენების თანახელმძღვანელი. არის ევროპული გეომეცნიერების კავშირის წევრი, EGU (2022 წ.) და ამერიკის გეოფიზიკური კავშირის წევრი, AGU (2021 წ.).

შეუძლია მუშაობა რეგიონალურ კლიმატურ მოდელებზე RegCM -სა და WRF-ზე, მეტეოროლოგიური მონაცემების ჰომოგენიზაციის სოფტზე - RHtests, კლიმატის ცვლილების ინდექსების გამოსათვლელ სოფტზე - RClimDex, ფლობს საოფისე პროგრამებს: Microsoft Word, Excel, Power point, Adobe Illustrator, Adobe Photoshop. აქვს საველე კვლევების გამოცდილება. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში რომელიც მოიცავდა საველე კვლევებს იყო ექსპედიციის ხელმძღვანელი/ მონაწილე. აქვს გამოცდილება საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში (კონფერენციები, სეზონური სკოლები).

აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პროექტების თუ კვლევების ფარგლებში ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის, მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის და გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან.

მშობლიური ენა - ქართული, ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

შეფასების IV კატეგორიაში კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

გადაწყვეტილება: კონკურსანტ მარიამ ელიზბარაშვილს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მე-2 ეტაპზე. 2025 წლის 19 დეკემბრის (14 სთ. 20 წთ.) გასაუბრების ხელახალი განხილვა დაინიშნა 23 ივლისს 12 სთ-ზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდგომ, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპის - გასაუბრების ხალახალი განხილვა.

II ეტაპის შედეგების შეფასება

გასაუბრების ხელახალი განხილვისას, გამოვლინდა, რომ კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა კონკურსანტის როგორც სასწავლო საქმიანობას, ასევე სამეცნიერო თემატიკას, სამომავლო გეგმებს. სამეცნიერო კონცეფციას, სალექციო კურსებს.

კათედრის სასწავლო და სამეცნიერო პროცესისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია კლიმატოლოგიასთან დაკავშირებული საგნების და საკითხების სწავლება.

გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა მარიამ ელიზბარაშვილის, მაღალი კვალიფიკაცია კლიმატოლოგიასთან, რეგიონულ კლიმატურ მოდელირებასთან, კლიმატური პროცესების პროგნოზირებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა ისიც, რომ მარიამ ელიზბარაშვილი პრაქტიკულად ვერ ერკვევა ლანდშაფტური გეოგრაფიის ელემენტარულ საკითხებში, საქართველოს

(განსაკუთრებით მთიანი რეგიონების) ლანდშაფტურ დიფერენციაციაში, ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიაში, კლიმატთან დაკავშირებული საკითხების ანალიზის მნიშვნელობაში ლანდშაფტურ დაგეგმარებაში და სხვ. არადა, ეს თემები საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების საკვანძო საკითხებად ითვლება.

მარიამ ელიზბარაშვილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია. საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა კონკურსანტის აკადემიური და სამეცნიერო მოღვაწეობის პროფილი, მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და განხორციელებული პროექტები, საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება და პროფესიული უნარები. ისინი მთლიანად ეხება კლიმატოლოგიას და მასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

ამის გამო, გასაუბრებაზე დამსწრე საკონკურსო კომისიის ოთხმა წევრმა ერთხმად დაადასტურა, რომ მარიამ ელიზბარაშვილი არ შეესაბამება საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის (ვაკანსიის) პროფილს.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ოთხმა წევრმა.
გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული - ა კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ოთხივე წევრმა მხარი დაუჭირა დავით სვანაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამართლებულია საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრაზე და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, დარგის და კათედრის განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტ დავით სვანაძის მაღალ კვალიფიკაციას, ინტეგრაციული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს და სტუდენტთა მოტივაციის არსებითად გაზრდის შესაძლებლობებს.

დავით სვანაძე, მისი კვალიფიკაციიდან და მოტივაციიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიული განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, საერთაშორისო კავშირების გაფართოებას, სწავლებისა და

კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებისა და სამეურნეო სექტორების ინტეგრაციასა და კოორდინაციას, სივრცითი დაგეგმარების პროექტებში სტუდენტთა ჩართულობას, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.

კომისიამ დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა-გეოგრაფიის დოქტორი დავით სვანაძე.

2. ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ და გადაეცეს აკადემიურ საბჭოს შედეგების დასამტკიცებლად.

კომისიის წევრები:

პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
(კომისიის თავმჯდომარე)

პროფ. თამარ დოლბაია
(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოც. პროფ. გიორგი მელაძე
(კომისიის მდივანი)

ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი
(კომისიის წევრი)